დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 11

ქ. დმანისი 29 ოქტომბერი 2026 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გოშუანი
4. აზერ ალიევი
5. სოფიო ასლამაზაშვილი
6. ლერი ბერუაშვილი
7. მურაზი აბრამიშვილი
8. მაკა ოკმელაშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. გიორგი გურჩიანი
11. აიდინ შარიფოვი
12. ემზარი პეტრიაშვილი
13. ნოდარი ადუაშვილი
14. დავით დაუთაშვილი
15. ნატიგ ოვჩიევი
16. სტამბულ ისაევი
17. ლომა გადრანი
18. ლია კავლელაშვილი
19. შალვა ღამბარაშვილი
20. შოთა აკობაშვილი
21. გამლეტ ისმაილოვი
22. ემილ იბრაგიმოვი
23. თეიმურაზ მენაბდიშვილი
24. ირაკლი მუჯირიშვილი
25. გოჩა გოჩაძე
26. ვაგიფ მუსაევი
27. ირაკლი სარსევანიძე

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვის საკითხებში გიორგი ნამორაძე, საკრებულოს აპარატის უფროსი თინათინ ციხელაშვილი.

სხდომის მდივანი: ტარიელ პაკელიანი

სხდომა დაიწყო: 12. 00

სხდომა დასრულდა: 12. 25

სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელსაც ერთხმად დაუჭირეს მხარი და მიმართა მომხსენებლებს გაეცნოთ საკითხები

დღის წესრიგი

1	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	
	მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**
2	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ წესდებაში ცვლილების შეტანის ცნობად მიღების შესახებ	
	მომხსენებელი:	**მ.ასლანიშვილი**
3	**განკარგულება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-109.109253582 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	
	მომხსენებელი:	**მ.ოკმელაშვილი**

პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წარუდგინა ახალარჩეული წევრი ირაკლი სარსევანიძე. საკრებულოს წევრებმა ირაკლი სარსევანიძეს მიულოცეს არჩევნებში გამარჯვება და უსურვეს წარმატებული საქმიანობა საკრებულოში.

1. მომხსენებელმა: გიორგი ნამორაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონი N1862/1-VIმს-XIმპ „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ “საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე და ასევე დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 21 ოქტომბრის #გ108.108262944 ბრძანების შესაბამისად, 2025 წლის 29 დეკემბრის #2260 (1;2;3) განკარგულებით გათვალისიწინებული თანხები შემცირდეს ორგანიზაციული კოდი **04_03 „საჯარო სკოლების დაფინანსება“**-ს შემდეგ მუხლებში:

- „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი შემცირდეს **229,9** ათასი ლარით (მოსწავლეების ტრანსპორტირება);
- „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი შემცირდეს **21,0** ათასი ლარით (სკოლების ოპერირება);
- „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი შემცირდეს **322,7** ათასი ლარით (ზოგადსაგანმანათებლო დაწესებულებების ინფრასრუქტურის განვითარების);

ამავე კოდზე აისახოს საქართველოს კანონით N1862/1-VIმს-XIმპ გათვალისწინებული შემდეგი თანხები:

- „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში აისახოს **229,9** ათასი ლარი (მოსწავლეების ტრანსპორტირება);
- „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში აისახოს **21,0** ათასი ლარი (ოპერირება);
- „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში აისახოს **322,7** ათასი ლარი (ზოგადსაგანმანათებლო დაწესებულებების ინფრასრუქტურის განვითარების).

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელის 2026 წლის 20 ოქტომბრის #02-1082629315 წერილის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის „შემოსულობების“ „გრანტი“-ს კოდში და შესაბამისად „გადასახდელები“-ს **06_02_11** ორგანიზაციულ კოდში **„შშმპ პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“** აისახოს 2026 წლის სექტემბრის თვის გამოყოფილი თანხა **36,2** ათასი ლარის ოდენობით შემდეგი მუხლების მიხედვით:

- საქონელი და მომსახურება - 1,7 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 34,5 ათასი ლარი;

შესაბამისად, „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი ნაცვლად 13,2 ათასი ლარის, განისაზღვროს 15,0 ათასი ლარით, ხოლო „სოციალური უზრუნველყოფა“-ს მუხლი ნაცვლად 254,2 ათასი ლარის, განისაზღვროს 288,7 ათასი ლარით (სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი);

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 08 ოქტომბრის #გ109.109262811 განკარგულების და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 13 ოქტომბრის #ბ108.108262861 ბრძანების შესაბამისად, ორგანიზაციული კოდი **02_05_01 „საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია"**-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლიდან **02_04_01 „მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია“**-ს ორგანიზაციული კოდის „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში, გადატანილ იქნეს თანხა **200,0** ათასი ლარის ოდენობით და აღნიშული მუხლი ნაცვლად 1.514,8 ათასი ლარის, განისაზღვროს 1.714,8 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის „საფინანსო საბიუჯეტო“ სამსახურის ხელმძღვანელის 2026 წლის 19 ოქტომბრის #05-1082629246, დმანისის მუნიციპალიტეტის

მერიის „ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის 2026 წლის 09 ოქტომბრის #02-1082628218 და 2026 წლის 12 ოქტომბრის #02-1082628546 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე, განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

- **01_01_02** ორგანიზაციული კოდი **„დმანისის მუნიციპალიტეტის მერია“**-ს „სხვა ხარჯები“- ს მუხლი შემცირდეს **30,0** ათასი ლარით, ხოლო ამავე კოდის „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი შემცირდეს **12,2** ათასი ლარის ოდენობით;
- **01_02_02** ორგანიზაციული კოდი **„წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო გადწყვეტილებების აღსრულების ფონდი“**-ს „სხვა ხარჯები“-ს მუხლი შემცირდეს **50,0** ათასი ლარით;
- **01_02_03** ორგანიზაციული კოდი **„მუნიციპალური ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა“**-ს „პროცენტი“-ს მუხლი შემცირდეს **3,8** ათასი ლარით;
- **05_04** ორგანიზაციული კოდი **„ინიციატივის დაფინანსება“**-ს „სუბსიდიები“-ს მუხლი შემცირდეს **5,0** ათასი ლარით;

აღნიშნული თანხები, რაც ჯამში შეადგენს **101,0** ათას ლარს, განაწილდეს შემდეგნაირად:

- **06_01_01** ორგანიზაციული კოდი **„საზოგადოებრივი ჯანდაცვა“**-ს „სუბსიდიები“-ს მუხლი გაიზარდოს **10,0** ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 10,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- **06_02_06** ორგანიზაციული კოდი **„ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამა“**-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი გაიზარდოს **91,0** ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი, ნაცვლად 268,0 ათასი ლარის, განისაზღვროს 359,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის „განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური“-ს უფროსის მ/შ 2026 წლის 15 ივნისის #04-108261661 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

- **01_02_04** ორგანიზაციული კოდი **„თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა“**-ს „სხვა ხარჯები“-ს მუხლი შემცირდეს **50,0** ათასი ლარით;
- **03_04** ორგანიზაციული კოდი **„უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები“**-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი შემცირდეს **50,0** ათასი ლარით;
- **01_01_02** ორგანიზაციული კოდი **„დმანისის მუნიციპალიტეტის მერია“**-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი გაიზარდოს **100,00** ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი, ნაცვლად 139,4 ათასი ლარის, განისაზღვროს 239,4 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

დმანისის მუნიციპალიტეტის „საფინანსო საბიუჯეტო სამსახური“-ს მიერ ჩატარებული ანალიზის და აღმოჩენილი ეკონომიის საფუძველზე, **01_01_01** ორგანიზაციული კოდი **„დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო“**-ს „შრომის ანაზღაურება“-ს მუხლიდან „სხვა ხარჯები“-ს მუხლში გადატანილ იქნეს **21,7** ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი, ნაცვლად

150,0 ათასი ლარის, განისაზღვროს 171,7 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 19 ოქტომბრის #ბ108.1082629214 ბრძანების და ა(ა)იპ „სკოლამდელი აღზრდის სამსახური“-ს ხელმძღვანელის 2026 წლის 19 ოქტომბრის #33-1082629225 წერილის საფუძველზე, ორგანიზაციული კოდი **04_01_01 ა(ა)იპ „სკოლამდელი აღზრდის სამსახური“**-ს „სუბსიდიები“-ს მუხლიდან „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში გადატანილ იქნეს **9,0** ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი, ნაცვლად 22,2 ათასი ლარისა, განისაზღვროს 31,2 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ა(ა)იპ „ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა“-ს დირექტორის, 2026 წლის 21 ოქტომბრის #29-1082629401 წერილის საფუძველზე, **05_01_01** ორგანიზაციული კოდი **ა(ა)იპ „ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა“**-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლიდან, ამავე კოდის „სუბსიდიები“-ს მუხლში გადატანილ იქნეს **32,9** ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი, ნაცვლად 1.055,6 ათასი ლარის, განისაზღვროს 1.088,5 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ა(ა)იპ „დმანისის სამუსიკო სკოლა“-ს დირექტორის 2026 წლის 21 ოქტომბრის #37-1082629494 წერილის საფუძველზე, **05_02_02** ორგანიზაციული კოდი **ა(ა)იპ „დმანისის სამუსიკო სკოლა“**-ს „სოციალური უზრუნველყოფა“-ს მუხლიდან ამავე კოდის „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში გადატანილ იქნეს **0,5** ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი, ნაცვლად 12,6 ათასი ლარისა, განისაზღვროს 13,1 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ა(ა)იპ „დმანისის კულტურის და ხელოვნების ცენტრი“-ს დირექტორის 2026 წლის 21 ოქტომბრის #31-10826294111 წერილის საფუძველზე და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის „განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის“ მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **05_02_04** ორგანიზაციული კოდი **„კულტურული ღონისძიებები“**-ს „საქონელი და მომსახურებას მუხლი შემცირდეს **20,0** ათასი ლარით და აღნიშნული თანხა გადატანილ იქნეს **05_02_01** ორგანიზაციული კოდი **ა(ა)იპ „დმანისის კულტურის და ხელოვნების ცენტრი“**-ს „სუბსიდიები“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი, ნაცვლად 1.300,8 ათასი ლარის, განისაზღვროს 1.320,8 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვროს **39.380,8** ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 27

წინაღმდეგი: არცერთი

2. მომხსენებელმა: მაკა ასლანიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ წესდებაში ცვლილების შეტანის ცნობად მიღების შესახებ

2026 წლის 03 ოქტომბერს დმანისის მუნიციპალიტეტში, N24.13 სარკინეთის ადგილობრივ საარჩევნო ოლქში ჩატარდა საკრებულოს შუალედური არჩევნები, რომელშიც გაიმარჯვა „ქართული ოცნების“ მაჟორიტარმა კანდიდატმა - ირაკლი სარსევანიძემ. საკრებულოს ახალარჩეული წევრის პირადი განცხადების საფუძველზე იგი საკრებულოს ფრაქციაში „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ გაწევრიანდა. შესაბამისად საჭიროა ცვლილება შევიდეს ფრაქციის წესდებაში და ფრაქციის წევრთა ჩამონათვალს დაემატოს ირაკლი სარსევანიძე.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 27

წინაღმდეგი: არცერთი

3. მომხსენებელმა: მაკა ოკმელაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №-109.109253582 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალურ ქვეპროგრამაში ცვლილება განპირობებულია ზემო კარაბულახის საჯარო სკოლაში დასაქმებული პერსონალის ტრანსპორტირების საჭიროებით. შესაბამისი ცვლილება ითვალისწინებს მუნიციპალური ქვეპროგრამის - „ტრანსპორტის მომსახურებით“ დანართი N17-ის განახლებას, კერძოდ, სასწავლო დღეებში ზემო კარაბულახისა და იფნარის მიმართულებით პერსონალის ტრანსპორტირებას ორი სატრანსპორტო საშუალებით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 27

წინაღმდეგი: არცერთი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი ტარიელ პაკელიანი